

ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლი მოულოდნელი კრიზისის დროს

ნინო ფარქოსაძე

ანა სარჩიმელია



სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც სადისერტაციო ნაშრომის “ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლი მოულოდნელი კრიზისის დროს“ ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანა სარჩიმელია

ნინო ფარქოსაძე

03/07/2020

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება ორგანიზაციაში, მოულოდნელ კრიზისთან გასამკლავებლად ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლს. საქართველოში ბოლო ათწლეულის მანძილზე გახშირებულმა კრიზისებმა განაპირობა ამ მიმართულების აქტუალობა, რადგან ანტიკრიზისული მენეჯმენტი ჯერ არარის საკმარისად განვითარებული, რაც მრავალ პრობლემას წარმოქმნის როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში.

კვლევის მიზანია - ორგანიზაციის წარმატებით სამართავად სწორი ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლის და კრიზისის ეფექტური მართვისათვის ანტიკრიზისული გეგმის დოკუმენტის წინასწარი შემუშავების აუცილებლობის ხაზგასმა, ასევე საქართველოს განვლილი კრიზისების შესწავლა და მათი ანალიზი, ამის საფუძველზე კი რეკომენდაციების გაცემა.

გიული ქეშელაშვილი თავის სახელმძღვანელოში - „*ანტიკრიზისული მენეჯმენტი*“ განმარტავს ანტიკრიზისულ მენეჯმენტს, როგორც კრიზისის დროს ორგანიზაციის სამართავად გამოყენებული მეთოდების, ფორმებისა და მიდგომების ერთობლიობას. ყოველივე ეს კი განსაზღვრავს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას.

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში წარიმართა ჩაღრმავებული ინტერვიუ, კერძო და საჯარო სექტორის წამორმადგენლებთან, მიმდინარე კრიზისის დროს მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესასწავლად და ამ

პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის ანტიკრიზისული მენეჯმენტი არარის საკმარისად ცნობადი და ორგანიზაციების უმრავლესობას არ გააჩნია წინასწარ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა. გამოკითხულთა 66.6%-ს არ ქონდა ინფორმაცია ასეთი გუნდის თავიანთ ორგანიზაციაში ფუნქციონირების ან საერთოდ მისი არსებობის შესახებ.

ჩატარებული კვლევის შედეგად მეტად წარმოჩინდა ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლის მნიშვნელობა ორგანიზაციებში კრიზისების სამართავად. გამოიკვეთა პრობლემები და თვალსაჩინო გახდა თუ რა საჭიროებებია ამ კვლევით დადასტურებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტიკრიზისული მენეჯმენტი, კომუნიკაცია, ორგანიზაციის იმიჯი, მოულოდნელი კრიზისი, კრიზისის მართვა

Abstract

This work is about the role of anti-crisis management for dealing with an unexpected crisis in an organization. The actuality of this issue is determined by the lots of crisis during the last decade in Georgia, because the anti-crisis management is not developed enough yet, which causes many problems in private and public sector.

The objective of this research is to determine a correct and successful anti-crisis management, also underline highlight its role and conduct effective active plan. Also, to study Georgia's previous crisis, analyse them and provide recommendations.

Giuli Qeshelashvili in her book "Anti-crisis Management" determines the crisis management as the main method to control the crisis in organizations and the ways and approaches. This all gives the organization a long life.

Quantitative and qualitative research is used in the study. In the framework of quantitative research was conducted an online survey, in the framework of the qualitative research was held on interview in depth with public and private Sector representatives, with the purpose to study their crisis solutions and to get into about problem solutions during the crisis.

The results of the study showed that the organizations in Georgia aren't aware about anti-crisis management and do not have any anti-crisis plan. 66.6% of people didn't know about the existing or functioning of such group in their organizations.

According to the study the role of anti-crisis management in organizations was highlighted to solve the problem during the crisis.

Key words: Anticrisis Management, The image of organization, communication, Unexpected crisis,

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს ბატონ თორნიკე გურულს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის პროცესში გვაძლევდა საგანგებო რჩევებსა და რეკომენდაციებს ნაშრომის უკეთ შესრულებისათვის. ასევე გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის იმ ლექტორების მიმართ, რომლებიც სწავლის პროცესში გვიზიარებდნენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლის მეშვეობითაც საშუალება მოგვეცა გაგვეღრმავებინა ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით.